INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო

თებერვალი, 2016 წ.

ავტორები: ნინო ცუხიშვილი, გოგა თუშურაშვილი

რედაქტორი: ლევან ავალიშვილი

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა შპს „მაგთიკომის“ ფინანსური მხარდაჭერით

*ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს **შპს „მაგთიკომის“** პოზიციას. შესაბამისად, **შპს „მაგთიკომი“** არ არის პასუხისმგებელი კვლევის შინაარსზე.*

აკრძალულია *კვლევაში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.*

შინაარსი:

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო (კვლევის მოკლე მიმოხილვა) 3

შესავალი 7

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის მიზანი და ღონისძიებები 9

ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა 11

ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარება 11

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა ადგილობრივ თვითმმართველობებში 21

ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება (birthgrant) 26

ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში დახმარება (child care allowance) 30

საგადასახადო შეღავათები 31

ოჯახისა და სამუშაოს შეთავსებისათვის სათანადო შრომითი გარემოს შექმნა 33

დასკვნა/რეკომენდაციები 35

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა -

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო

(კვლევის მოკლე მიმოხილვა)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევებისა და 2014 წლის 4-19 ნოემბერს საქართველოს მასშტაბით ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა წინა, 2002 წლის აღწერის შედეგებთან (4 371 535 ადამიანი) შედარებით 14,7%-ით შემცირდა და მოსახლეობის საერთო რაოდენობამ 3 729 635 ადამიანი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში შობადობის მაჩვენებლის გარკვეული დადებითი ტენდენციები შეინიშნება, დემოგრაფიულ საკითხებში ექსპერტთა ვარაუდით **უახლოეს პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუარესდება.** ხსენებული ვარაუდი გამყარებულია იმ მოსაზრებით, რომ 2017-2018 წლებიდან ქორწინებისა და რეპროდუქციული პოტენციალის ასაკში შევა 90-იან წლებში დაბადებული მოსახლეობა, როდესაც საქართველოში შობადობა ძალიან დაბალი იყო. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშაოს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

კვლევის მიზანია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ შემუშავებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის შესწავლა და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების მიზნით დანერგილი სახელმწიფო ღონისძიებების ანალიზი. კვლევა შეისწავლის საქართველოს საკანონმდებლო რეგულირებასა და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიებებთან მიმართებით, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შემუშავებულ მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამებს. საბოლოოდ, კვლევა წარმოადგენს რეკომენდაციებს საქართველოში ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკისა და სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით.

კვლევა ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკას ორი ძირითადი მიმართულებით განიხილავს: ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა და ოჯახისა და სამუშაოს შეთავსებისათვის სათანადო შრომითი გარემოს შექმნა. ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: ოჯახის ფინანსური დახმარება, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფულადი დახმარება (birth grant), ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში დახმარება (childcare allowance) და საგადასახადო შეღავათები. კვლევა წარმოადგენს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული თითოეული ფინანსური ღონისძიების ანალიზსა და საქართველოში არსებული ფინანსური დახმარების პროგრამების შეფასებას.

ოჯახისა და სამუშაოს შეთავსებისათვის სათანადო შრომითი გარემოს შექმნა გულისხმობს დეკრეტული შვებულების და/ან ბავშვის მოვლისათვის საჭირო შვებულების სათანადო პირობების შეთავაზებასა და სამსახურში დაბრუნების შემდგომ, ბავშვის აღზრდაში დახმარების ხელშეწყობას. შვებულებისათვის სათანადო პირობების შეფასების მიზნით, კვლევა განიხილავს საქართველოში არსებული შვებულების ხანგრძლივობისა და სახელმწიფოს მიერ შვებულების პერიოდში გაცემული თანხის ოდენობის შესაბამისობას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებულ სტანდარტებთან.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის შესწავლის საფუძველზე, საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი წარმოგიდგენთ შემდეგ რეკომენდაციებს:

1. **საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ახალი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება, სადაც გათვალისწინებული იქნება ოჯახის/ბავშვის დახმარებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:**

   - ოჯახის/ბავშვის ფინანსურ დახმარების სახელმწიფო პროგრამა მოდიფიცირდეს კომპლექსური დახმარების პროგრამაში, რომელშიც ასახული იქნება არა მხოლოდ ფინანსური დახმარების საკითხები, არამედ ოჯახის მხარდაჭერის სხვა ზომებიც (საგადასახადო და კომუნალური შეღავათები, ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესებული პაკეტი, ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებით ხარჯების თანადაფინანსება და სხვა);

- ოჯახის/ბავშვის ფინანსურ დახმარების სახელმწიფო პროგრამა **გათვლილი იქნეს დაბალ და საშუალო შემოსავლიან ოჯახებზე და გავრცელდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით.** აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის შეზღუდული ბიუჯეტის ეფექტურ ხარჯვას, ფინანსური დახმარების ოდენობის გაზრდას და ბავშვის საჭიროებებთან მიახლოებას. ამავე დროს პროგრამის ბიუჯეტის ზრდა შესაძლებელია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებასთან, საჯარო-კერძო პარტნიორობის ახალი მექანიზმების დანერგვასთან, სოციალური პასუხისმგებლობის ფონდის შექმნასთან, რათა ასეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორც ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა და ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ხელშეწყობაა თავის წვლილი (სურვილის შემთხვევაში) შეიტანონ მეწარმეებმაც;

- ოჯახის/ბავშვისფინანსურიდახმარებისმიღებისუფლებასახელმწიფოპროგრამისბენე ფიციარებისათვისგავრცელდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, აღნიშნულ რეგიონში წინა მე-2 და მე-3 წლის განმავლობაში დაფიქსირდა თუ არა წლიური მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენი გამოთვლებით მთელი საქართველოს მასშტაბით აღნიშნული პროგრამის განხორციელება ყოველწლიურად მოითხოვს დაახლოებით 38 000 000 ლარს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ყოველ მე-3 და შემდგომ ბავშვზე დაწესდება ერთჯერადი ფინანსური დახმარება (მე-3 ბავშვი 800 ლარი, მე-4 ბავშვი 1000 ლარი, მე-5 და შემდეგი ბავშვი 1500 ლარი) აღნიშნულისათვის დამატებით საჭიროა დაახლოებით 10 000 000 ლარი. აღნიშნული გათვლები წარმოდგენილია პროგრამის ნებისმიერ მოქალაქეზე გავრცელების პირობებში. იმ შემთხვევაში თუ პროგრამა მოიცავს მხოლოდ **დაბალ და საშუალო შემოსავლიან ოჯახებს**, პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისად შემცირდება.

- ოჯახის/ბავშვის ფინანსური დახმარების მიღების უფლება წარმოიშვას პირველი ბავშვის შეძენის მომენტიდან და დახმარების ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნას დაბადებული ბავშვის რიგითობა, ისე რომ ყოველი მომდევნო ბავშვის გაჩენისას მეტი ფინანსური გარანტიები გაუჩნდეს ოჯახს. ამასთან ფინანსური დახმარების პერიოდი გაიზარდოს და მაქსიმალურად მიუახლოვდეს ბავშვის სრულწლოვანების ასაკს;

- სახელმწიფო პროგრამამ უზრუნველყოს განსაკუთრებული მზრუნველობის საჭიროების მქონე ბავშვისათვის ან ერთი მშობლის მიერ ბავშვის დამოუკიდებლად აღზრდის შემთხვევაში ფინანსური დახმარების დამატებითი გარანტიების შექმნა.

2) **ადგილობრივმა თვითმმართველობებმა საკუთარი ბიუჯეტიდან ოჯახის/ბავშვის მხარდაჭერის პოლიტიკა განახორციელონ დემოგრაფიული მდგომარეობის**

გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამასთან კოორდინირებულად. კერძოდ:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან განხორციელდეს დამატებით იმგვარი სახის დახმარება, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამით;
- ადგილობრივი თვითმმართველობებში ფინანსური სახსრების მობილიზება მოხდეს იმგვარად, რომ თითოეულ რეგიონში მსგავსი სოციალური ფენის ოჯახებისათვის არსებობდეს სახელმწიფო დახმარების ერთიანი სტანდარტი;
- ადგილობრივმა თვითმმართველობებმა საკუთარი ბიუჯეტით უზრუნველყონ მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური შეღავათების დაწესება კომუნალურ გადასახადებზე, სახელმწიფო ტრანსპორტით სარგებლობაზე და სხვა სახელმწიფო სერვისებზე, რომელიც დაკავშირებულია ბავშვის აღზრდასა და მზრუნველობასთან.

3) **საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოს შესაბამისი კანონპროექტის მომზადება, სადაც გათვალისწინებული იქნება მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება.**

4) **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის უკეთესი პირობების და ჯანმრთელობის დაზღვევის მეტი გარანტიების შექმნა.**

5) **საქართველოს შრომის კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომლის მიხედვითაც ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების პერიოდში გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრება დასაქმებულის შვებულებაში გასვლის წინა თვის ანაზღაურების ოდენობის 100%-ით და გაუქმდება შრომის კოდექსით დადგენილი ანაზღაურების ოდენობის ზედა ზღვარი (1000 ლარი).**

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს წარმოდგენილი რეკომენდაციების იმპლემენტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და ასახოს ისინი სტრატეგიულ დოკუმენტში. შესაძლებელია, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაციების დანერგვის რამდენიმეწლიანი გეგმის შედგენა, მათი ეტაპობრივი განხორციელების მიზნით, იმისთვის, რომ სტრატეგიულ დონეზე განისაზღვროს დღეს მიღწეული გაუმჯობესებული მაჩვენებლების შენარჩუნება და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესების მოსალოდნელი კრიზისული პერიოდის (2017 წლიდან) რისკების შემცირებას.

შესავალი

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა არის სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმიქვეყანაში არსებული დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. დემოგრაფიული პრობლემები უკავშირდება შობადობის დაბალ ან საგრძნობლად შემცირებულ დონეს, მოსახლეობის დაბერების ტენდენციასა და სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდას. დემოგრაფიული პრობლემების არსებობისას მომავალი თაობა ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის არსებული რაოდენობის ჩანაცვლებას, რაც იწვევს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებასა და საერთო დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებას.

დემოგრაფიული პრობლემების წარმომშობი მიზეზები მრავალგვარია და შესაძლოა გამოწვეული იყოს ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკურიმდგომარეობითა თუ უმუშევრობით, მიგრაციის მაღალი მაჩვენებლით, სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრებას შორის დროის გადანაწილებისათვის სათანადო შრომითი პირობების არარსებობით, ასევე სქესთა შორის დარღვეული თანაფარდობითა და ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დაუბალანსებელი მაჩვენებლით. მოსახლეობის რაოდენობის ზრდას ასევე მნიშვნელოვნად აფერხებს არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების მიზნით აბორტების დიდი რაოდენობა, ხოლო სიკვდილიანობის მაღალი დონის გამომწვევ მიზეზებს შორის მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა და სიმსივნური დაავადებები.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, მსოფლიოში აღინიშნება მოსახლეობის კლების ტენდეცია. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ასევე დგანან დემოგრაფიული პრობლემების წინაშე. საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის მაჩვენებელი წარმოდგენილია 2014 წლის 4-19 ნოემბერს მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარ შედეგებსა და გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებულ კვლევებში. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგების თანახმად, **საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 729 635 ადამიანი შეადგინა, რაც წინა, 2002 წლის აღწერის (4 371 535 ადამიანი) შედეგებთან შედარებით 14,7%-ით (641 900) ნაკლებია**.



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2002-2014 წლებში შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2009 წელს ფიქსირდება - 63 377 ცოცხლად დაბადებული ბავშვი. 2009 წლიდან 2012 წლამდე კვლავ კლებადი ტენდენცია შეინიშნება და 2012 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 57 031-მდე შემცირდა. 2014 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 60 635 შეადგინა.



	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
შობადობა	46605	46194	49572	46512	47795	49287	56565	63377	62585	58014	57031	58878	60635
გარდაცვალება	46446	46055	48793	40721	42255	41178	43011	46625	47864	49818	49348	48553	49087

წყარო : *სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევებისა და დემოგრაფიული სიტუაციის პროგნოზის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკა და სტრატეგიები არ შეიცვალა, საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივა 2050 წლის პერიოდისათვის - 2, 985 000 ადამიანს შეადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშაოს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

კვლევის მიზანია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ შემუშავებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის შესწავლა და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების მიზნით დანერგილი სახელმწიფო ღონისძიებების ანალიზი. ასევე, კვლევა შეისწავლის საქართველოს საკანონმდებლო რეგულირებასა და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიებებთან მიმართებით. საბოლოოდ, კვლევაწარმოადგენსრეკომენდაციებს საქართველოში ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკისა და სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით.

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის მიზანი და ღონისძიებები

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის მიზანიაქვეყანაში არსებული დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებადა დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება. ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკამ უნდა შექმნას შესაბამისი პირობები და გარანტიები ოჯახში შობადობის გაზრდის მხარდასაჭერად და დაეხმაროს მრავალშვილიან ოჯახებს არსებული პრობლემების გადაჭრის პროცესში. ასევე, ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ოჯახის განსაკუთრებული საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორიცაა სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირთან ინტერესების გათვალისწინება.

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის მიზნები შესაძლოა მიღწეული იქნას სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სახის ღონისძიებების გატარებით, როგორიცაა:ა) ოჯახის ფინანსური ხელშეწყობა და დახმარება დაბ) სამუშაოსა და ოჯახის შეთავსებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

ოჯახის ფინანსური ხელშეწყობა შეიძლება გამოიხატოს სახელმწიფოს მიერ შემდეგი ფინანსური ღონისძიებებისგატარებაში: ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარება (child/familyallowance), ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება(birthgrant), ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში

დახმარება (childcareallowance), საგადასახადო შეღავათების მინიჭება და ოჯახის ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის განსახვავებული სისტემის შექმნა.

სამუშაოსა და ოჯახის შეთავსებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებას სამუშაოს ხელმისაწვდომობისა და სამუშაო პირობების შექმნის კუთხით. სამუშაოსა და ოჯახის შეთავსება შესაძლებელია მიღწეული იქნას სახელმწიფოს მიერ დეკრეტული შვებულების/ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული შვებულების შესაბამისი გარანტიების (შვებულების დროის პერიოდი და ანაზღაურების ოდენობა) შემუშავებითა და ორივე მშობლისათვის აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემით. სახელმწიფომ აღნიშნული პოლიტიკით უნდა უზრუნველყოს დედის გონივრულ ვადაში სამუშაო გარემოში დაბრუნება და მამის როლის გაზრდა ბავშვის აღზრდის პროცესში.

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგება საკანონმდებლო დონზე ხორციელდება და შესაძლებელია აისახოს სოციალური დახმარების შესახებ კანონში, ბავშვის/ოჯახის დახმარების შესახებ კანონში, შრომის კოდექსში, საგადასახადო კოდექსში და ა.შ. სამთავრობო დონეზე მოსაწესრიგებელი საკითხები განისაზღვრება მთავრობის კანონქვემდებარე აქტით და წარმოადგენს სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების ლეგიტიმაციას. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, მთავრობებმა შესაძლებელია ასევე შეიმუშაონ სტრატეგია ან სამოქმედო გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედება მომავალში ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის გაუმჯობესებას.

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია, როგორც წესი ხდება სამთავრობო ან უფლებამოსილი სამინისტროს დონეზე. ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებაზე შესაძლებელია ასევე ერთობლივად პასუხისმგებელი იყოს რამდენიმე სამინისტრო ან დეპარტამენტი.საკითხების სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით, ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიებები შესაძლებელია შევიდეს ეკონომიკის;სოციალური დაცვის; შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის; ოჯახებისა და ახალგაზრდების დაცვის სამინისტროს კომპეტენციაში.

მოცემული კვლევის მიზნებისათვის განხილული იქნება ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიებები (ფინანსური მხარდაჭერა, შრომითი გარემოსშექმნა და სოციალური სერვისების შეთავაზება) ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების შესწავლისა და საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასების საფუძველზე.

ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა

ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ შემუშავებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რაც უზრუნველყოფს ოჯახების მატერიალურ დახმარებასა და მიზნად ისახავს ბავშვის/ოჯახის სიღარიბის დონის შემცირებას. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ოჯახის ფინანსური მხარდაჭერის მრავალფეროვანი ღონისძიებები არსებობს და ფინანსური დახმარების ოდენობა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. კვლევის მიზნებისათვის განვიხილავთ ოჯახის ფინანსური მხარდაჭერის იმ ღონისძიებებს, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობისათვისაა დამახასიათებელი და შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთიან ევროპულ სტანდარტად ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება სახელმწიფოს მიერ შემდეგი ღონისძიებების გატარების საფუძველზე: ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარება (child/familyallowance), ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება (birthgrant), ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში დახმარება (childcareallowance), გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭება და ოჯახის ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის განსახვავებული სისტემის შექმნა.

ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარება

ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარებაარის ფულადი სოციალური დახმარება, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ ოჯახის გრძელვადიანი ფინანსური მხარდაჭერა ბავშვის აღზრდის პროცესში. ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარება შესაძლოა განისაზღვროს სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით: ოჯახში ბავშვების რაოდენობა და ბავშვის ასაკი.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ანალიზის თანახმად, ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარება გაიცემა ძირითადად ქვეყნის მოქალაქეზე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დახმარების მიღების უფლება აქვს ასევე ქვეყანაში ცხოვრების ნებართვის მქონე პირს. ფინანსური დახმარების მიმღები პირი შეიძლება იყოს მშობელი, ბებია ან ბაბუა, ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირი (მშვილებელი, მეურვე და ა.შ.) ან თავად ბავშვი. [1]ფინანსური დახმარების მიღების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე. როგორც წესი, ბავშვს/ოჯახს უფლება აქვს მიიღოს ფინანსური დახმარება სრულწლოვანების მიღწევამდე (16-18 წელი). დახმარების მიღების პერიოდი შეიძლება

[1] იხ. www.coe.int/familypolicy/database

გახანგრძლივდეს 21 წლამდე, თუ ბავშვი არ მუშაობს და დარეგისტრირებულია, როგორც „სამუშაოს მაძიებელი“ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში ან 25 წლამდე, თუ ბავშვი იღებს განათლებას ან გადის რაიმე სასწავლო ტრეინინგს.[2] ფინანსური დახმარების მიღების პერიოდი შეუზღუდავია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემთხვევაში.

ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარების ოდენობა დამოკიდებულიაოჯახში ბავშვების რაოდენობაზე, რაც გულისხმობს, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ბავშვის/ოჯახის ფინანსურ დახმარებას გამოყოფენ პირველი ბავშვის გაჩენიდან და ფინანსური დახმარების ოდენობა როგორც წესი იზრდება ყოველ შემდეგ ბავშვზე. თუმცა, ევროკავშირის ზოგიერთი სახელმწიფო (დანია) ამცირებს ყოველ შემდეგ ბავშვზე თანხის ოდენობას. ევროკავშირის წევრი ზოგიერთი სახელმწიფო ითვალისწინებს ბავშვის საჭიროებებს ასაკის მიხედვით და ადგენს ფინანსური დახმარების განსხვავებულ ოდენობას სხვადასხვა ასაკის კატეგორიის ბავშვისათვის.(მაგ. 0-დან 3 წლამდე, 3-დან 7 წლამდე, 7-დან 18-მდე და ა.შ.)ასევე, სახელმწიფოები ფინანსური დახმარების გამოყოფისას ყურადღებას აქცევენ ბავშვის აღზრდა ხდება ოჯახში ორივე მშობლის მიერ თუ ერთი მშობლის მიერ დამოუკიდებლად. ერთი მშობლის მიერ დამოუკიდებლად აღზრდის შემთხვევაში ფინანსური დახმარების ოდენობა აღემატება ოჯახისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების ოდენობას.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მრავალფეროვანი პრაქტიკის გათვალისწინებით წარმოგიდგენთ ცხრილს, რომელიც ასახავს ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარების მიღების წესსა და ოდენობას ოჯახში ბავშვის რაოდენობისა და/თუ ასაკის გათვალისწინებით.

ქვეყანა	ფინანსური დახმარების მიღების პირობები	ბავშვის რაოდენობა/ასაკი	ფინანსური დახმარების ოდენობა/ყოველთვიურად
ავსტრია	✓ მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი ✓ ბავშვის მშობელი, ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირი ✓ ასაკი: 18 წლამდე. 21 წლამდე -სამუშაოს მაძიებელი; 25 წლამდე - განათლების მიმღები	1-ლი ბავშვი 0-დან 3 წლამდე 3-დან 10 წლამდე 10-დან 19 წლამდე 19 წლიდან მე-2 ბავშვი მე-3 ბავშვი მე-4 და ყოველი შემდეგი ბავშვი	 105.40 € 112. 70 € 130.90 € 152.70 € +12.80 € +47.80 € +97.80 €

[2]იხ. www.coe.int/familypolicy/database

	პირი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - შეუზღუდავად.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი	+138. 30 €
ბელგია	✓ მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი ✓ ბავშვის მშობელი, ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირი ✓ ასაკი: 18 წლამდე. 21 წლამდე -სამუშაოს მაძიებელი; 25 წლამდე - განათლების მიმღები პირი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - შეუზღუდავად.	1-ლი ბავშვი მე-2 ბავშვი მე-3 და ყოველი შემდეგი ბავშვი	90. 28 € 167.05 € 249.41 €
გერმანია	✓ მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი ✓ ბავშვის მშობელი, ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირი ✓ ასაკი: 18 წლამდე. 21 წლამდე -სამუშაოს მაძიებელი; 25 წლამდე - განათლების მიმღები პირი; ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - შეუზღუდავად.	1-ლი და მე-2 ბავშვი მე-3 ბავშვი მე-4 და ყოველი შემდეგი ბავშვი	188 € 194 € 219 €
დანია	✓ მოქალაქე/ცხოვრების	ყოველი ბავშვი	

	ნებართვის მქონე პირი ✓ ასაკი: 18 წლამდე	0-დან 3 წლამდე 3-დან 7 წლამდე 7-დან 18 წლამდე	145 € 131 € 103 €
ესტონეთი	✓ მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი ✓ ასაკი: 16 წლამდე 19 წლამდე - განათლების მიმღები პირი.	1-ლი და მე-2 ბავშვი მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ბავშვი მე-7 და ყოველი შემდეგი ბავშვი	20 € (ერთ ბავშვზე) 58 € (ერთ ბავშვზე) 170 € (ერთ ბავშვზე)
საფრანგეთი	✓ მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი ✓ ასაკი: 20 წლამდე	ერთი ბავშვი ორი ბავშვი სამი ბავშვი ოთხი ბავშვი ხუთი ბავშვი ყოველი შემდეგი ბავშვი	0 € 120.30 € 274.47 € 428.62 € 585.68 € 154.92 €
უნგრეთი	✓ მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი ✓ ასაკი: 18 წლამდე 23 წლამდე - განათლების მიმღები პირი;	1-ლი ბავშვი მე-2 ბავშვი -ოჯახში -ერთი მშობელი მე-3 და ყოველი შემდეგი ბავშვი -ოჯახში - ერთი მშობელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი	63 € 57 € (ერთ ბავშვზე) 64 € (ერთ ბავშვზე) 59 € (ერთ ბავშვზე) 74 € (ერთ ბავშვზე)

		- ოჯახში -ერთი მშობელი	101€ (ერთ ბავშვზე) 112 € (ერთ ბავშვზე)
ლუქსემბურგი	✓ მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი ✓ ასაკი: 18 წლამდე 27 წლამდე - განათლების მიმღები პირი;	1-ლი ბავშვი მე-2 ბავშვი მე-3 ბავშვი ყოველი შემდეგი ბავშვი	185. 60 € 440.72 € 802.74 € 361.82 €
ნიდერლანდების სამეფო	✓ მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი ✓ ასაკი: 17 წლამდე	ყოველი ბავშვი 0-დან 5 წლამდე 6-დან 11 წლამდე 12-დან 17 წლამდე	 193.73 € (ყოველ სამ თვეში) 235.24 € (ყოველ სამ თვეში) 276.75 € (ყოველ სამ თვეში)
ნორვეგია	✓ მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი ✓ ასაკი: 18 წლამდე	ყოველი ბავშვი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში დაბადებული ბავშვი	129 € +49 €
ფინეთი	✓ მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი ✓ ასაკი: 17 წლამდე	1-ლი ბავშვი მე-2 ბავშვი მე-3 ბავშვი მე-4 ბავშვი მე-5 და ყოველი შემდეგი ბავშვი ერთი მშობლის მიერ ბავშვის	100.00€ 110.50€ 141.00€ 161.50€ 182.00 € +46.60€

		აღზრდის შემთხვევაში	
შვედეთი	✓ მოქალაქე/ცხოვრების ნებართვის მქონე პირი ✓ ასაკი: 16 წლამდე	1-ლი ბავშვი მე-2 ბავშვი მე-3 ბავშვი მე-4 ბავშვი ყოველი შემდეგი ბავშვი	120€ 151€ 411€ 629€ 218€

საქართველოში ოჯახის/ბავშვის ფინანსური დახმარების საკითხი მოწესრიგებულია **საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის #262 დადგენილებით „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“** და **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 19 მარტის №01-31/ნ ბრძანებით „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“** ფარგლებში ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. ზემოთ აღნიშნული რეგულირების თანახმად, ფულადი დახმარების მიმღები პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და ფაქტობრივად ცხოვრობდეს ბიოლოგიური დედის/ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.[3] ფულადი დახმარების მიღების უფლების წარმოშობისათვის დადგენილია შემდეგი წინაპირობები: ა) ფულადი დახმარების მიმღები ბავშვი დაბადებული უნდა იყოს 2014 წლის 1 ივნისიდან; ბ) ფულადი დახმარების მიმღები ბავშვის ბიოლოგიური დედა/ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობს საქართველოს იმ რეგიონში, სადაც ბავშვის დაბადების წლის წინა მე-2 ან მე-3 წელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი (ამ მაჩვენებელს განსაზღვრავს სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) არ ფიქსირდება და გ) ფულად დახმარებას იღებს რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი.[4]

ფულადი დახმარება ინიშნება ყოველთვიურად, საჭირო დოკუმენტების წარდგენის თვის შემდგომი თვის 1 რიცხვიდან 2 წლის ასაკამდე. [5]ფულადი დახმარების ოდენობა მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის წარმოადგენს 200 ლარს, ხოლო არამაღალმთიან

[3]საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 19 მარტის #01-31/ნ ბრძანება, მე-5 მუხლი, 1-ლი პუნქტი.
[4]საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის დადგენილება #262, მე-5 მუხლი, 1-ლი პუნქტი.
[5]საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის დადგენილება #262, მე-5 მუხლი, მე-3 პუნქტი.

რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 150 ლარს.[6]ასევე, დაუშვებელია ორი ან მეტი ფულადი დახმარების მიღება ერთი და იგივე ბენეფიციარზე.[7]

საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული მონაცემების მიხედვით, ბუნებრივი მატების უარყოფითი მაჩვენებლები 2012, 2013 და 2014 წლებში ფიქსირდება გურიის, იმერეთის, კახეთის, რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის და სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონების შემთხვევაში. შესაბამისად, 2014 წლის 1 ივნისიდან სწორედ აღნიშნულ რეგიონებში დაბადებული ბავშვები ჩაერთვნენ დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამაში.

ბუნებრივი მატების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით									
რეგიონი	2012			2013			2014		
	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი
თბილისი	**4114**	3987	127	**4654**	4499	155	**5645**	5511	134
აჭარა	**2459**	1431	1028	**2620**	1458	1162	**2919**	1856	1063
გურია	**-388**	-98	-290	**-335**	-43	-292	**-243**	-54	-189
იმერეთი	**-249**	666	-915	**-195**	665	-860	**-229**	678	-907
კახეთი	**-38**	-75	37	**93**	-60	153	**187**	-37	224
მცხეთა-მთიანეთი	**-278**	-92	-186	**-139**	-66	-73	**-49**	-67	18
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	**-507**	-49	-458	**-421**	-28	-393	**-399**	-31	-368
სამეგრელო - ზემო სვანეთი	**-364**	-233	-131	**-277**	-354	77	**-169**	-238	69
სამცხე ჯავახეთი	**251**	10	241	**326**	53	273	**248**	95	153
ქვემო ქართლი	**2190**	875	1315	**2448**	855	1593	**2977**	1322	1655
შიდა ქართლი	**493**	269	224	**551**	198	353	**661**	343	318

2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარს წარმოადგენს5283 ახალშობილი, რომელთაგან ყველაზე მეტი - 2 104ბავშვი დაბადებულია იმერეთში.

მე - 3 და შემდგომი ბავშვის გასაცემელი, 2014 წელი – ბენეფიციართა რაოდენობა							
	გურია	რაჭა–ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	კახეთი	იმერეთი	მცხთა – მთიანეთი	სამეგრელო ზემო–სვანეთი	სულ
ივლისი							
ბავშვების რაოდენობა	7	7	43	56	8	13	**134**
აგვისტო							
ბავშვების რაოდენობა	29	17	134	199	41	80	**500**
სექტემბერი							
ბავშვების რაოდენობა	50	25	189	315	57	135	**771**
ოქტომბერი							
ბავშვების რაოდენობა	76	32	265	447	68	188	**1076**
ნოემბერი							
ბავშვების რაოდენობა	98	38	338	572	96	254	**1396**
დეკემბერი							
ბავშვების რაოდენობა	118	40	375	689	118	311	**1651**

[6]საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის დადგენილება #262, მე-2 მუხლი, მე-2 პუნქტი
[7]საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის დადგენილება #262, მე-2 მუხლი, მე-4 პუნქტი.

მე - 3 და შემდგომი ბავშვის გასაცემელი, 2015 წელი – ბენეფიციართა რაოდენობა							
	გურია	რაჭა–ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	კახეთი	იმერეთი	მცხთა – მთიანეთი	სამეგრელო ზემო–სვანეთი	სულ
იანვარი							
ბავშვების რაოდენობა	140	42	468	805	136	364	**1955**
თებერვალი							
ბავშვების რაოდენობა	163	42	544	923	163	422	**2257**
მარტი							
ბავშვების რაოდენობა	179	44	632	1045	188	474	**2562**
აპრილი							
ბავშვების რაოდენობა	202	51	704	1158	202	531	**2848**
მაისი							
ბავშვების რაოდენობა	216	58	766	1271	229	593	**3133**
ივნისი							
ბავშვების რაოდენობა	238	62	805	1361	257	652	**3375**
ივლისი							
ბავშვების რაოდენობა	259	70	898	1498	284	706	**3715**
აგვისტო							
ბავშვების რაოდენობა	281	75	995	1570	302	787	**4010**
სექტემბერი							
ბავშვების რაოდენობა	299	84	1078	1732	323	841	**4357**
ოქტომბერი							
ბავშვების რაოდენობა	329	87	1189	1871	330	901	**4707**
ნოემბერი							
ბავშვების რაოდენობა	348	93	1291	2002	354	948	**5036**
დეკემბერი							
ბავშვების რაოდენობა	371	99	1352	2104	373	984	**5283**

წყარო: *სოციალური მომსახურების სააგენტო*

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2014 ივლისი 2015 დეკემბრის პერიოდში, სულ გაწეულია 7 660 900 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება. 2015 წლის დეკემბერში პროგრამის 5283 ბენეფიციარისათვის სახელმწიფო გასაცემელმა შეადგინა 826 500 ლარი.



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, იმ რეგიონებში,რომლებზეც ვრცელდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, დაბადებულ რიგით მესამე და შემდგომი ბავშვების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 36%-ს მთლიანად საქართველოს მასშტაბით დაბადებულ რიგით მესამე და შემდგომი ბავშვების რაოდენობისა. **შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პროგრამა გავრცელდებოდა მთლიანად საქართველოს მასშტაბით 2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით არსებული 5 283ბენეფიციარის ნაცვლად, პროგრამას ეყოლებოდა დაახლოებით 14700 ბენეფიციარი და შესაბამისად, სახელმწიფო გასაცემლები გაიზრდებოდა დაახლოებით სამჯერ.თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგრამა ხორციელდება ბავშვის დაბადებიდან 2 წლის განმავლობაში, შობადობის აღნიშნული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში 2016 ივლისის თვის მდგომარეობით (პროგრამის ბენეფიციართა ყოველთვიური ზრდის ციკლის დასრულების შემდგომ) მთელი საქართველო მასშტაბით პროგრამას ეყოლებოდა დაახლოებით 20 000 ბენეფიციარი, რომელთა ყოველწლიური გასაცემელი განისაზღვრებოდა დაახლოებით 38 000 000 ლარის ოდენობით.**



წყარო: *სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

საქართველოში ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარების პირობები ვერ პასუხობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებულ სტანდარტებს.პირველ რიგში, საქართველოში ფულადი დახმარების მიღების უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ რეგიონებში ფაქტობრივად მცხოვრებ ბავშვებზე, სადაც წინა მე-2 და მე-3 წელს არ ფიქსირდება წლიური მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი, რაც არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს იმ ოჯახებს, რომლებიც აღნიშნულ რეგიონში არ ცხოვრობენ. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არ არსებობს მსგავსი დათქმა და ფულადი დახმარების მიღების უფლება გარანტირებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. გარდა ამისა, საქართველოში ფულადი დახმარების მიღების უფლება წარმოიშობა მესამე და ყოველი შემდეგი ბავშვის დაბადების შედეგად, მაშინ როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმეტესობა ფულადი დახმარების უფლებას ანიჭებს ოჯახებს პირველი ბავშვის დაბადების შემდგომ. ასევე,საქართველოში არსებული ფინანსური დახმარების პერიოდი, 2 წელი შეუსაბამოდ ცოტაა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებულ ფინანსური დახმარების მიღების პერიოდთან შედარებით, რაც მინიმუმ წარმოადგენს ბავშვის სრულწლოვანების ასაკს, 18 წელს. **საქართველოში არსებული სოციალური დახმარება (150 ლარი, მაღალმთიან რეგიონებში - 200 ლარი), მიუხედავად იმ ფაქტისა რომ, აღნიშნული თანხა დაახლოებით საქართველოში არსებული პენსიის ოდენობას უტოლდება, ინსტიტუტის შეფასებით ბავშვის საჭიროებებთან მიმართებით ვერ უზრუნველყოფს ოჯახის შესაბამის დახმარებას ბავშვის აღზრდის პროცესში**.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბავშვის/ოჯახის დამატებით ფინანსურ დახმარებას განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის ყოლის შემთხვევაში.ევროკავშირის

წევრ სახელმწიფოებში არსებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ითვალისწინებს ოჯახში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის დამატებით მოთხოვნილებებს და, როგორც წესი, მოცემულ შემთხვევაში ფულადი დახმარების ოდენობა აღემატება ზოგადად დადგენილიდახმარების ოდენობას და არ არის შეზღუდული ბავშვის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევით.**გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს ფულადი დახმარების დადგენის განსხვავებულ წესს იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვზე მზრუნველობას ახორციელებს მხოლოდ ერთი მშობელი**.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით რეგულირებულ უარყოფით მხარედ ასევე უნდა შეფასდეს დაწესებული შეზღუდვა, რომ ერთი და იგივე ბენეფიციარი ვერ მიიღებს ორ ან მეტ ფულად დახმარებას. მოცემულ შემთხვევაში, ბავშვი/ოჯახი შესაძლოა იღებდეს სხვა ტიპის სოციალურ დახმარებას და მოუხდეს არჩევანის გაკეთება რამდენიმე სოციალური დახმარების ღონისძიებას შორის. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებში ბავშვი/ოჯახი სახელმწიფოს მხრიდან, როგორც წესი, იღებს რამდენიმე სახის სოციალურ დახმარებას, რომელთაც სხვადასხვა მიზნები გააჩნიათ და უზრუნველყოფენ ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამგვარად, ოჯახის/ბავშვის ფინანსური დახმარების რეგულირება საჭიროებს გაუმჯობესებასა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის გაზიარებას, რათა უზრუნველყოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ეფექტური გარემოს შექმნა.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა ადგილობრივ თვითმმართველობებში

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ოჯახის/ბავშვის ფინანსური დახმარება ხორციელდება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. თუმცა, საკითხის სრულყოფილად წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია აგრეთვე,გაანალიზდეს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საკუთარი ბიუჯეტების ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებული სოციალური შეღავათები თუ ფინანსური დახმარება. აღნიშნულის შესასწავლად,2015 წლის აგვისტოში IDFI-იმ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს მიმართა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის არსებული სოციალური შეღავათების ჩამონათვალის, სოციალურ დახმარებაზე გაწეული ხარჯების, ბენეფიციართა რაოდენობის და აღნიშნულ შეღავათების დაწესების შესახებ გამოცემული სამართლებრივი აქტების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით.

ადგილობრივი თვითმმართველობებიდან მიღებული დოკუმენტაცია ნათლად აჩვენებს, რომსაქართველოს სხვადასხვა რეგიონში მრავალშვილიანების დახმარების მნიშვნელოვნად განსხვავებული სტანდარტი არსებობს. მთელ რიგ ადგილობრივ თვითმმართველობებში (მაგალითად: დმანისი, საგარეჯო, ქარელი, ჭიათურა, თერჯოლა, ბაღდათი, თიანეთი, მცხეთა, გარდაბანი) 2015 წლის მდგომარეობით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ცალკეული პროგრამა საერთოდ არ გააჩნიათ.

რაც შეეხება იმ თვითმმართველ ერთეულებს, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, მნიშვნელოვანი განსხვავებები ფიქსირდება, როგორც პროგრამით სარგებლობისათვის დაწესებული პირობების, აგრეთვე გათვალისწინებულისოციალურიდახმარებების ოდენობით და შინაარსით.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით სარგებლობაზე დაწესებული განსხვავებული შეზღუდვები დამოკიდებულია კონკრეტულ ადგილობრივ თვითმმართველობაში სავარაუდო ბენეფიციართა რაოდენობასა და პროგრამის ბიუჯეტის ოდენობაზე. **მაგალითად, ქალაქ თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ბენეფიციარს წარმოადგენს მხოლოდ სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულით 70 001-მდე) 3 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი. ქალაქ რუსთავში მსგავსი პროგრამის ბენეფიციარია სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულით 150 000-მდე) 4 და მეტი შვილიანი ოჯახი, ქალაქ ქუთაისში - ნებისმიერი 4 და მეტი შვილიანი ოჯახი, ქალაქ ფოთში - ნებისმიერი 3 და მეტი 16 წლამდე შვილიანი ოჯახი, ქალაქ ბათუმში სოციალურად დაუცველი სარეიტინგო ქულით 70 000-მდე 3 და 4 შვილიანი და ნებისმიერი 5 და მეტ შვილიანი ოჯახი**.

სხვადასხვა რეგიონში მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ბენეფიციარები არიან:

- *სოციალურად დაუცველი 3 და მეტი შვილიანი ოჯახი*
- *სოციალურად დაუცველი 4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი*
- *3 და მეტი 16 წლამდე შვილიანი ოჯახი*
- *3 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი*
- *4 და მეტი შვილიანი ოჯახი*
- *4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი*
- *4 და მეტი (ერთ-ერთი მანც 18 წლამდე) შვილიანი ოჯახი*
- *5 და მეტი (ერთ-ერთი მანც 18 წლამდე) შვილიანი ოჯახი*
- *5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი*

განსხვავებული პრაქტიკაა სხვადასხვა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულშიდა

მრავალშვილიან ოჯახზე ან მრავალშვილიანი ოჯახის თითოეულ ბავშვზე განსხვავებული ოდენობის ფინასური დახმარება გაიცემა ერთჯერადად, ყოველთვიურად, კვარტალში ერთხელ, წელიწადში ორჯერ ან სამჯერ. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებშიმრავალშვილიან ოჯახებზე ფულადი დახმარების შემდეგი პრაქტიკა ფიქსირდება:

- **ყოველთვიური ფულადი დახმარება მრავალშვილიანი ოჯახის თითოეულ ბავშვზე**
- **ყოველთვიური ფულადი დახმარება მეოთხე და შემდეგ ბავშვზე**
- **ყოველთვიური ფულადი დახმარება მრავალშვილიან ოჯახზე**
- **კვარტალში ერთხელ ფულადი დახმარება მრავალშვილიანი ოჯახის თითოეულ ბავშვზე**
- **წელიწადში სამჯერ ფულადი დახმარება მრავალშვილიან ოჯახზე**
- **წელიწადში ორჯერ ფულადი დახმარება მრავალშვილიან ოჯახზე**
- **ყოველწლიურად ერთჯერადი ფულადი დახმარება მრავალშვილიანი ოჯახის თითოეულ ბავშვზე**
- **ყოველწლიურად ერთჯერადი ფულადი დახმარება მრავალშვილიან ოჯახზე**

ზემოთ ჩამოთვლილი ფულადი დახმარების პერიოდულობიდან, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში ყველაზე გავრცელებულია მრავალშვილიან ოჯახებზე ყოველთვიური და წელიწადში ერთხელ დახმარების გაცემის პრაქტიკა.

იმ რეგიონებში, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა ითვალისწინებს, თითოეულ ბავშვზე ფულადი დახმარების ყოველთვიურად გაცემას, სხვადასხვა თვითმმართველ ერთეულში აღნიშნული თანხა მერყეობს **10 ლარიდან 50 ლარამდე**. მაგალითად, ლენტეხის მუნიციპალიტეტში 5 და მეტი შვილიანი ოჯახისათვის გათვალისწინებულია თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად 10 ლარი, სამტრედიის მუნიციპალიტეტში - 4 და მეტი შვილიანი ოჯახის თითოეულ ბავშვზე - ყოველთვიურად 20 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 4 და მეტი შვილიანი ოჯახის თითოეულ ბავშვზე - ყოველთვიურად 25 ლარი, თელავში 4 და მეტი შვილიანი ოჯახის თითოეულ ბავშვზე - ყოველთვიურად 30 ლარი, თბილისში სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულით 70001-მდე) 3 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახის თითოეულ ბავშვზე - ყოველთვიურად 50 ლარი.

ქალაქ ფოთში ყოველთვიური დახმარება განსაზღვრულია 3 და მეტი 16 წლამდე მრავალშვილიანი ოჯახისათვის და 3 შვილიანი ოჯახისათვის შეადგენს - 50 ლარს, 4 შვილიანისთვის - 100 ლარს, 5 შვილიანისთვის - 190 ლარს, 6 შვილიანისთვის - 220 ლარს, 7 შვილიანისთვის - 300 ლარს, 8 და მეტი შვილიანისთვის - 450 ლარს.

იმ რეგიონებში, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა ითვალისწინებს, თითოეულ ბავშვზე ფულადი დახმარების წელიწადში ერთჯერადად გაცემას, აღნიშნული თანხა სხვადასხვა რეგიონში მერყეობს **50 ლარიდან 200**

ლარამდე. მაგალითად, ხონის მუნიციპალიტეტში წელიწადში ერთხელ 4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახის თითოეული ბავშვზე დახმარება შეადგენს 50 ლარს, ტყიბულის მუნიციპალიტეტში - 60 ლარს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 100 ლარს, ხოლო გორის მუნიციპალიტეტში 5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახის თითოეულ ბავშვზე ყოველწლიურად გათვალისწინებულია 200 ლარის ოდენობის დახმარება.

რაც შეეხება იმ რეგიონებს, სადაც ყოველწლიურად ერთჯერადად ფინანსური დახმარება გაიცემა მრავალშვილიანოჯახზე ერთიანად - გასაცემელი თანხა სხვადასხვა რეგიონში მერყეობს 50 ლარიდან 2000 ლარამდე. მაგალითად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 4 და მეტი შვილიანი ოჯახისათვის დედის დღესთან დაკავშირებით გათვალისწინებულია 50 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება, ახმეტის მუნიციპალიტეტში 4 და მეტი შვილიანი ოჯახისათვის - 100 ლარი, მესტიის მუნიციპალიტეტში 5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახისათვის - 150 ლარი, ადიგენის მუნიციპალიტეტში 4 და მეტი შვილიანი ოჯახისათვის - 200 ლარი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 4 და მეტი შვილიანი ოჯახისათვის - 250 ლარი (იმ მრავალშვილიანი ოჯახებისათვის რომლებიც ცხოვრობენ გაუსაძლის პირობებში 500 ლარი), დუშეთში მუნიციპალიტეტში 4 და მეტი შვილიანი ოჯახისათვის - 300 ლარი, ზუგდიდში 4 შვილიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებულია 200 ლარი და ყოველ ერთით მეტ შვილიან ოჯახზე ყოველწლიური ერთჯერადი დაფინანსება იზრდება 100 ლარით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 4 და მეტი შვილიანი ოჯახისათვის - 500 ლარი, აჭარის თითოეულ მუნიციპალიტეტში ქალაქ ბათუმის გარდა 5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება შეადგენს 1000 ლარს, (ქალაქ ბათუმში აღნიშნული თანხა გაიცემა წელიწადში ორჯერ). ქალაქ ფოთში 5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახისათვის გათვალისწინებულია ყოველწლიურად ერთჯერადად 2000 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.

ზემოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი მონაცემები, ნათლად აჩვენებს, რომ სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები მნიშვნელოვნად განსხვავებულ ფულად დახმარებებს იღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებიდან.ფულადი დახმარების გარდა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობების მიერ დამტკიცებულ პროგრამებში ვხდებით აგრეთვე, იშვიათ გამონაკლისებს, რომლებიც აღნიშნულ ოჯახებს სთავაზობენ სხვა სახის შეღავათებს, მაგალითად როგორიცაა:

- **კომუნალურ გადასახადებზე შეღავათები**
- **სპორტული და სახელოვნებო სასწავლებლების სწავლის საფასურის გადახდა**
- **საზაფხულო დასვენება-რეაბილიტაციის კურორტული მომსახურება**

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის კომუნალურ გადასახადებზე თანადაფინანსება გათვალისწინებულია თელავის და დედოფლისწყაროს თვითმმართველ ერთეულებში.

თელავში 4 შვილიანი ოჯახი ყოველთვიურად იღებს ელექტროენერგიის გადასახადებზე 8 ლარიან, ხოლო 4-ზე მეტ შვილიანი ოჯახი 12 ლარიან თანადაფინანსებას. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მრავალშვილიანიოჯახებისათვის გათვალისწინებულია მხოლოდ კომუნალური შეღავათები და ითვალისწინებს 4 და მეტ შვილიანი ოჯახისათვის ელექტროენერგიის თანადაფინანსებას ყოველთვიურად 8 ლარის (თუ მრავალშვილიანი ოჯახში ორზე მეტი ბავშვია 18 წლამდე 12 ლარის) ოდენობით. აგრეთვე ზამთრის თვეებში ბუნებრივი აირის გადასახადის დაფინანსებას 20 ლარის ოდენობით და აგრეთვე, ზამთრის სეზონზე ერთჯერადად გათბობის უზრუნველსაყოფად 100 ლარის ოდენობით.

ქალაქ ბათუმსა და ახალციხეში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებულია სპორტულ და სახელოვნებო დაწესებულებებში ბავშვების სწავლების საფასურის გადახდა.

ქალაქ ქუთაისის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა ითვალისწინებს 4 და მეტი შვილიანი ოჯახებისათვის საზაფხულო დასვენება - რეაბილიტაციის კურორტულ მომსახურებას. აღნიშნული მომსახურებით 2015 წელს ქალაქ ქუთაისში ისარგებლა 39 მრავალშვილიანმა ოჯახმა.

დეტალურად თითოეულ მუნიციპალიტეტში მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით გათვალისწინებული დახმარებების და 2015 წლის აგვისტოს მდგომარეობით ბენეფიციართა რაოდენობისა და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართ N1- ში.

ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება (birthgrant)

ბავშვის დაბადების ფაქტის აღსანიშნავად არსებობს პრაქტიკა სახელმწიფოს მიერ ოჯახისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გამოყოფაზე. ფინანსური დახმარება წარმოადგენს სახელმწიფოს ე.წ. სიმბოლურ „საჩუქარს“ ოჯახისთვის ბავშვის დაბადების გამო. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გარკვეული ნაწილი იცნობს ფინანსური დახმარების აღნიშნულ ღონისძიებას და ხელს უწყობს ოჯახების ფინანსურ წახალისებას ამ მიმართულებით.

ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით გამოყოფილი ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა განსხვავებულია სახელმწიფოს ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა, როგორც წესი, აღემატება ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარების ყოველთვიურ ოდენობას. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები აღნიშნულ სიმბოლურ ფინანსურ დახმარებას გამოყოფენ ასევე ოჯახებისათვის ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში.

მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია, თუ ევროკავშირის რომელ წევრ სახელმწიფოებში არსებობს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარების გამოყოფის პრაქტიკა და რა ოდენობისაა იგი.[8]

ქვეყანა	ერთჯერადი ფინანსური დახმარების გამოყოფა/ოდენობა
ავსტრია	არ არსებობს
ბელგია	1-ლი ბავშვი -1107,80 € მე-2 ბავშვი - 833, 49 € შვილად აყვანის შემთხვევაში -1107,80 €
გერმანია	არ არსებობს
დანია	ყოველ ბავშვზე - 244 € 7 წლამდე - ყოველთვიურად- 82 €
ესტონეთი	ყოველ ბავშვზე - 320 €
საფრანგეთი	ყოველ ბავშვზე-855. 25 € შვილად აყვანის შემთხვევაში -1710.40 €
უნგრეთი	ყოველ ბავშვზე - 278 €

[8] იხ. www.coe.int/familypolicy/database

	ტყუპების დაბადების შემთხვევაში -371 €
ლუქსემბურგი	ყოველ ბავშვზე - 1740 €
ნიდერლანდების სამეფო	არ არსებობს
ნორვეგია	ყოველ ბავშვზე/ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში - 4 092 €
ფინეთი	ყოველ ბავშვზე - 140 €
ხორვატია	ყოველ ბავშვზე - 318, 93 €
ჩეხეთი	ყოველ ბავშვზე - 520 €
პოლონეთი	ყოველ ბავშვზე - 261 €
შვედეთი	არ არსებობს

ამგვარად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გარკვეული ნაწილი იცნობს ფინანსური დახმარების აღნიშნულ ღონისძიებას. ბავშვის დაბადებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება არ არსებობს ავსტრია, გერმანია, ნიდერლანდების სამეფო და შვედეთი. აღნიშნული ფინანსური დახმარების არ-არსებობა განპირობებულია სხვა ფინანსური დახმარების ღონისძიებების არსებობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ოჯახის ფინანსურ სტაბილურობას.

საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა არ იცნობს ოჯახის ერთჯერად დახმარებას ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით. აღნიშნული სახის დახმარებებს ვხვდებით, მხოლოდ სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალური დახმარების პროგრამებში.

უნდა აღინიშნოს რომ, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამების მსგავსად სხვადასხვა რეგიონში, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის გათვალისწინებული თანხები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. იმ ადგილობრივ თვითმმართველობებში სადაც სოციალურ პროგრამაში გათვალისწინებული აქვთ ახალშობილის ოჯახებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება, პირველი და მეორე ბავშვზე ფულადი დახმარება მერყეობს 100 ლარიდან 500 ლარამდე, მესამე ბავშვზე- 100 ლარიდან 800 ლარამდე, მეოთხე ბავშვზე - 100 ლარიდან 1000 ლარამდე, ხოლო მეხუთე და შემდეგ ბავშვზე - 100 ლარიდან - 1500 ლარამდე.

სხვადასხვა ადგილობრივ თვითმმართველობაში 2015 წლის ბიუჯეტით,ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია შემდეგი ოდენობის ფულადი დახმარებები:

ადგილობრივი თვითმმართველობების 2015 წლის ბიუჯეტიდან ახალშობილთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება ბავშვთა რიგითობის მიხედვით						
თვითმმართველი ერთეული	პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე	მეხუთე და შემდეგი	შენიშვნა
თბილისი	500	500	800	1000	1500	დახმარება მოქმედებს მხოლოდ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე . (100001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით)
გურჯაანი	300	300	300	300	300	
დედოფლისწყარო	300	300	300	300	300	
სიღნაღი	100	100				დახმარებას არ იღებენ რიგით მე-3 და შემდეგი ახალდაბადებულები, ვინაიდან მათზე ვრცელდება სახელმწიფო პროგრამა
ყვარელი	200	250				
ახმეტა	100	100				
გორი			300	400		
ხაშური				400	500	
ქარელი	200	200	300	500	500	
კასპი			300	300	300	
ქუთაისი				1000	500	
წყალტუბო			500	700	1000	
ბაღდათი		150	200	350	400	
საჩხერე				200	200	
ზესტაფონი				450	450	
ფოთი	100	100	100	100	100	
აბაშა			300	300	300	
მარტვილი	200	200	200	200	200	
ამბროლაური	350	400	450	500	550	ყოველ მომდევნო ბავშვზე დახმარება იზრდება 50 ლარით
ცაგერი	200	200	300	400	500	ყოველ მომდევნო ბავშვზე დახმარება იზრდება 100 ლარით
ლენტეხი	100	100	150	150	250	
ახალციხე	125	125	200	250	250	
ბათუმი	400	500	600	800	1000	პირველ და მეორე შვილზე დახმარება გათვალისწინებულია მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის (სარეიტინგო ქულით 100 000 მდე)
შუახევი	300	400	500	700	900	

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მონაცემებიდან გამოჩნდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ყველაზე დიდი

ერთჯერადი ფულადი დახმარება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისში, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ოდენობის დახმარებასაქართველოს მთელი მასშტაბით გათვალისწინებული იქნება ნებისმიერ ახალშობილზე, მაშინ სახელმწიფოს მიერ ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ყოველწლიურად ერთჯერადი გასაცემლის სრული ოდენობა განისაზღვრება დაახლოებით 35 000 000 ლარისოდენობით, საიდანაც მე-3 და შემდეგი ბავშვის დაბადებისთვის განსაზღვრული იქნება დაახლოებით 10 000 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული თანხა IDFI-ის მიერ გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც უკავშირდება 2010-2014 წლებში საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას დაბადების რიგითობის მიხედვით.

საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დაბადების რიგითობის მიხედვით					
წელი	პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე	მეხუთე და მეტი
2010	31062	22305	7097	1456	665
2011	27668	21708	6701	1307	630
2012	26368	21740	6891	1445	587
2013	26225	22040	7419	1578	616
2014	26355	23171	8724	1646	739

წყარო: *სტატისტიკის ეროვნული სამსახური*





წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში დახმარება (child care allowance)

ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში დახმარება (**child care allowance**) არის სოციალური დახმარების ღონისძიება, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს ოჯახისათვის ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების დაფარვის მიზნით. **აღნიშნულ ფინანსურ დახმარებას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან გამოყოფს გერმანია, ფინეთი, შვედეთი და ნორვეგია.** აღნიშნული ფინანსური დახმარება გაიცემა დროის შეზღუდული მონაკვეთის განმავლობაში (მაქსიმუმ 2 წელი) და ძირითადად გამოიყოფა ბავშვის 1-დან 3 წლამდე ასაკის პერიოდში.

გერმანიაში ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ფინანსური დახმარება (**Betreuungsgeld**) გადაეცემათ მშობლებს 2012 წლის 1 აგვისტოს შემდეგ დაბადებულ თითოეულ ბავშვებზე. ფინანსური დახმარების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 22 თვეს და გაიცემა ბავშვის დაბადების მე-15 თვიდან 36 თვის ჩათვლით. ფინანსური დახმარების ოდენობა 2014 წლის პირველ აგვისტომდე წარმოადგენდა თითოეულ ბავშვზე 150 ევროს, ხოლო 2014 წლის 1 აგვისტოდან არის 100 ევრო.[9]

ფინეთში ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებულ ფინანსურ დახმარებას ოჯახები იღებენ ყოველთვიურად ბავშვის 3 წლის ასაკის მიღწევამდე. ფინანსური დახმარების ოდენობა წარმოდგენს ქვეყანაში არსებული საშუალო შემოსავლის 10%, დაახლოებით 330 ევროს.

[9]მშობლების დახმარებისა და დეკრეტული შვებულების შესახებ კანონი, მუხლი 27 (2)

ნორვეგიაში ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებულ ფინანსური დახმარება ოჯახს შეუძლია მიიღოს 2012 წლის 1 აგვისტოდან და ფინანსური დახმარების ხანგრძლივობა წარმოადგენს ათ თვეს. (ბავშვის დაბადების მე-13 თვიდან 23-ე თვის ჩათვლით). ფინანსური დახმარების ოდენობა არის 543 ევრო.

შვედეთში აღნიშნული ფინანსური დახმარება ოჯახს შეუძლია მიიღოს ბავშვის 1 წლიდან 3 წლამდე პერიოდში და მისი ოდენობა არის 320 ევრო.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ოჯახის დახმარებას ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებით დამატებით ხარჯების ანაზღაურების კუთხით.

საგადასახადო შეღავათები

სახელმწიფოს მიერ საგადასახადო შეღავათების დაწესება ოჯახის ფინანსური მხარდაჭერის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. საგადასახადო შეღავათების დაწესება მიზნად ისახავსოჯახისათვის დაკისრებული საგადასახადო ვალდებულებების შემსუბუქებას.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგადასახადო შეღავათების დაწესების ორი ძირითადი ღონისძიება არსებობს: **ა) ოჯახისათვის ბავშვის ყოლის გამო დაუბეგრავი შემოსავლის განსაზღვრული ოდენობის მინიჭება; ბ) ოჯახის ერთობლივი შემოსავლის განსხვავებული დაბეგვრის სისტემის შემუშავება.**

ოჯახისათვის ბავშვის ყოლის გამო დაუბეგრავი შემოსავლის განსაზღვრული ოდენობის მინიჭება გულისხმობს სახელმწიფოს მიერ გარკვეული ოდენობის თანხის განსაზღვრას თითოეულ ბავშვზე (child tax credit), რომელიც გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან. აღნიშნული ღონისძიების ხანგრძლივობა, როგორც წესი უკავშირდება ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევას (18 წლამდე). ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პოლიტიკის გათვალისწინებით, დაუბეგრავი თანხის ოდენობა თითოეულ ბავშვზე განსხვავებულია.

წარმოგიდგენთ იმ ქვეყნების გამოცდილებას, რომლებიც იცნობენ საგადასახადო შეღავათის აღნიშნულ ფორმას.

ქვეყანა	დაუბეგრავი თანხის ოდენობა თითოეულ

	ბავშვზე (child tax credit)
ავსტრია	50.90 € /ყოველთვიურად/18 წლამდე
ჩეხეთი	426.01€/ყოველწლიურად/18 წლამდე
გერმანია	1848 €- 1-ლი ბავშვი/ყოველწლიურად/18 წლამდე 2148 € -მე-2 ბავშვი/ყოველწლიურად/18 წლამდე
უნგრეთი	4000 HUF -მესამე ბავშვი/ყოველთვიურად/18 წლამდე
ლატვია	960 €/ყოველწლიურად/24 წლამდე
ნიდერლანდების სამეფო	112 €/ყოველწლიურად/12 წლამდე
ნორვეგია	3198 €/ყოველწლიურად/12 წლამდე

ოჯახის ერთობლივი შემოსავლის განსხვავებული დაბეგვრის სისტემა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ოჯახის ერთობლივი შემოსავლისათვის საგადასახადო შეღავათის დაწესებას მისი დაბეგვრის განსხვავებული წესის დადგენით. საგადასახადო ღონისძიების მიზანია ოჯახის შემოსავლის გარკვეული ნაწილის საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრისაგან გათავისუფლება. დაბეგვრის განსხვავებული სისტემის შემუშავებისას მნიშვნელოვანია ოჯახის ერთობლივი შემოსავლის ოდენობა და ოჯახის წევრების რაოდენობა.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ნაწილს გააჩნია ოჯახის ერთობლივი შემოსავლის განსხვავებული დაბეგვრის სისტემა. მოცემულ შემთხვევაში, მაგალითის სახით წარმოგიდგენთ საფრანგეთისა და გერმანიისა გამოცდილებას.

საფრანგეთის ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ცნობილია ოჯახის ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის ლოიალური სისტემით (quotientfamilial), რომელიც ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ოჯახის შემოსავლის დაბეგვრა ხორციელდება შემდეგნაირად: ოჯახის ერთობლივი შემოსავალი იყოფა ნაწილებად. ნაწილების რაოდენობა დამოკიდებულია ოჯახის წევრების რაოდენობაზე. მოცემულ შემთხვევაში მშობელს აქვს მინიჭებული ერთი ნაწილი, პირველ და მეორე ბავშვს- ნახევარი ნაწილი, მესამე და ყოველ შემდეგ ბავშვს, ასევე განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვს- ერთი ნაწილი. (მაგ: ოჯახს, რომელსაც ყავს ორი ბავშვი - მისი ერთობლივი შემოსავალი იყოფა სამ ნაწილად). გაყოფილი ნაწილებისათვის, მათი ოდენობის შესაბამისად ხდება დაბეგვრის შესაბამისი წესის შეფარდება და მიღებული რიცხვი მრავლდება გაყოფილი ნაწილების ოდენობაზე, რათა მივიღოთ ოჯახის საერთო შემოსავლის დაუბეგრავი ოდენობა. საფრანგეთში დაწესებულია დაუბეგრავი შემოსავლის მაქსიმალური

ოდენობაყოველწლიურად განსხვავებულია და 2015 წლისათვის არ უნდა აღემატებოდეს 1508 ევროს ერთობლივი შემოსავლის თითოეულ ნახევარ ნაწილზე.

გერმანიაში ოჯახის ერთობლივი შემოსავლის დაუბეგრავი ნაწილის გამოთვლა ხორციელდება ასევე ერთობლივი შემოსავლის ნაწილებად დაყოფის მეთოდით. დაუბეგრავი შემოსავლის მაქსიმალური ოდენობა ერთ მშობელზე არ უნდა აღემატებოდეს 1308 ევროს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არ იცნობს მსგავსი სახის საგადასახადო შეღავათებს.

ოჯახისა და სამუშაოს შეთავსებისათვის სათანადო შრომითი გარემოს შექმნა

ოჯახის მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ მნიშვნელოვან პოლიტიკას წარმოადგენს ოჯახისა და სამუშაოს შეთავსებისათვის სათანადო შრომითი გარემოს შექმნა. სათანადო შრომითი გარემოს შექმნა გულისხმობს დეკრეტული შვებულების და/ან ბავშვის მოვლისათვის საჭირო შვებულების სათანადო პირობების შეთავაზებასა და სამსახურში დაბრუნების შემდგომ, ბავშვის აღზრდაში დახმარების ხელშეწყობას.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ოჯახის მხარდაჭერა სათანადო შრომითი პირობების შექმნის გზით, რათა მშობლებმა მოახერხონ სამუშაოსა და ოჯახის საქმეების შეთავსება და უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისათვის შესაბამისი დროის ოჯახისათვის გამოთავისუფლება. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმეტესობა უზრუნველყოფს ორივე მშობლის წახალისებას ბავშვის მოვლისათვის შვებულების აღების მინიჭების უფლებით, ამგვარად აღნიშნული უფლებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ორივე მშობელი ერთდროულად ვერ ისარგებლებს აღნიშნული უფლებით და შვებულების პერიოდის გადანაწილება ხდება მამაკაცსა და ქალს შორის შეთანხმების საფუძველზე.

ბავშვის მოვლის შვებულებისპირობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი: **შვებულების ხანგრძლივობა და სახელმწიფოს მიერ შვებულების პერიოდში გაცემული თანხის ოდენობა.**ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების ანალიზის საფუძველზე, შვებულებაშესაძლებელია გადანაწილდეს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდზე. შვებულების პერიოდის ხანგრძლივობა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების მიხედვით განსხვავებულია და მერყეობს 12 კვირიდან -26 კვირის ჩათვლით. (მაგ: ავსტრია - 16 კვირა, 8 კვირა მშობიარობამდე და 8 კვირა მშობიარობის შემდეგ; საფრანგეთი -16 კვირა, 3 კვირა მშობიარობამდე და 10 კვირა

მშობიარობის შემდეგ; გერმანია - 14 კვირა, 6 კვირა მშობიარობამდე და 8 კვირა მშობიარობის შემდეგ; ჩეხეთი - 28 კვირა, 6 კვირა მშობიარობამდე და 22 კვირა მშობიარობის შემდეგ.)

შვებულების სრული პერიოდი ანაზღაურებადია და ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია შვებულების ამღები პირის ანაზღაურების ოდენობაზე. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის საფუძველზე, შვებულების ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრებაშვებულების მიმღები პირის ანაზღაურების ოდენობის 80%-100%-მდე. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმეტესობა არ განსაზღვრავს შესაძლო მისაღები ანაზღაურების ზედა ზღვარს. (მაგ: ავსტრია - ბოლო სამი თვის განმავლობაში მიღებული ანაზღაურების ოდენობის 100%, ზედა ზღვარი არ არის დადგენილი; გერმანია - ანაზღაურების ოდენობის 100%, ზედა ზღვარი არ არის დადგენილი; ნორვეგია - ანაზღაურების ოდენობის 80-100%, ზედა ზღვარი არ არის დადგენილი).

საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდის ხანგრძლივობამ, დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლოა შეადგინოს მაქსიმუმ 730 დღე, თუმცა ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება 183 კალენდარული დღით (26 კვირა), ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში - 200 კალენდარული დღით. საქართველოს შრომის კოდექსი ადგენს ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობის ზედა ზღვარს - „არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.“ საქართველოს შრომის კოდექსის 28-ე მუხლის მიხედვით, „დასაქმებულს თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო - 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი.“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს ბრძანება #231/ნ-ის „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის“დამტკიცების თაობაზე განსაზღვრავს ანაზღაურების ოდენობის გაანგარიშების წესს, რომლის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით „მოსამსახურისათვის გასაცემი დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებაში გასვლის წინა თვის თანამდებობრივი სარგო,“თუმცა ფულადი დახმარების ოდენობის ზედა ზღვარი მოქმედებს მოცემულ შემთხვევაში.

საქართველოს კანონმდებლობის მიერ განსაზღვრულიბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებულ სტანდარტთან, თუმცა შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობის ზედა ზღვარის (1000 ლარის) დადგენა უარყოფითად უნდა შეფასდეს. შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა ვერ

აკმაყოფილებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებულ პირობებს და მაქსიმუმ 1000 ლარის ოდენობა ვერ უზრუნველყოფს ოჯახის ეფექტურ ფინანსურ დახმარებას. მნიშვნელოვანია, რომ შვებულების მიმღებ პირს ჰქონდეს უფლება მიიღოს შვებულების პერიოდში მიღებული ფინანსური დახმარება მის მიერ წინა თვის განმავლობაში მიღებული შრომითი ანაზღაურების ოდენობით, ზედა ზღვარის დადგენის გარეშე.

დასკვნა/რეკომენდაციები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევებისა და დემოგრაფიული სიტუაციის პროგნოზით იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკა და სტრატეგია არ შეიცვალა, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლის პერიოდისათვის - 2 985 000 ადამიანამდე შემცირდება. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ უკანასკნელ წლებში შობადობის მაჩვენებლის გარკვეული დადებითი ტენდენციები შეინიშნება, დემოგრაფიულ საკითხებში ექსპერტთა ვარაუდით **უახლოეს პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუარესდება.** ხსენებული ვარაუდი გამყარებულია იმ მოსაზრებით, რომ 2017-2018 წლებიდან ქორწინებისა და რეპროდუქციული პოტენციალის ასაკში შევა 90-იან წლებში დაბადებული მოსახლეობა, როდესაც საქართველოში შობადობა ძალიან დაბალი იყო. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში საქართველოშიმნიშვნელოვნად შემცირდება იმ ასაკის მოსახლეობის წილი, სადაც ყველაზე დიდია ქორწინებისა და გამრავლების პოტენციალი, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება შობადობის მაჩვენებელზე.

საქართველოში არსებული დემოგრაფიული გამოწვევების ფონზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრატეგიის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს შობადობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების მაქსიმალურად შემცირებას. აღნიშნულის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის #262 დადგენილებით დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება.თუმცა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკისა და საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში არსებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებასა და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მხარდაჭერის სათანადო პირობების შექმნას და საჭიროებს გაუმჯობესებას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის გათვალისწინებით.

მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ფართოდ გამოყენებული ოჯახის ფინანსური დახმარების ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა:ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში მხარდაჭერა და საგადასახადო შეღავათები.ოჯახისა და სამუშაოს შეთავსების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების უფლებას ორივე მშობლისათვის. აღნიშნული შვებულების პერიოდის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან, თუმცა შვებულების პერიოდში გასაცემი თანხის ოდენობა ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებულ სტანდარტებს.

კვლევიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ რეკომენდაციებს ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით:

2. **საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ახალი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება, სადაც გათვალისწინებული იქნება ოჯახის/ბავშვის დახმარებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:**

- ოჯახის/ბავშვისფინანსურ დახმარების სახელმწიფო პროგრამა მოდიფიცირდეს კომპლექსური დახმარების პროგრამაში, რომელშიც ასახული იქნება არა მხოლოდ ფინანსური დახმარების საკითხები, არამედ ოჯახის მხარდაჭერის სხვა ზომებიც (საგადასახადო და კომუნალური შეღავათები, ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესებული პაკეტი, ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებით ხარჯების თანადაფინანსება და სხვა);

- ოჯახის/ბავშვისფინანსურ დახმარების სახელმწიფო პროგრამა **გათვლილიიქნეს დაბალ და საშუალო შემოსავლიან ოჯახებზე და გავრცელდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით.** აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის შეზღუდული ბიუჯეტის ეფექტურ ხარჯვას, ფინანსური დახმარების ოდენობის გაზრდას და ბავშვის საჭიროებებთან მიახლოებას. ამავე დროს პროგრამის ბიუჯეტის ზრდა შესაძლებელია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებასთან, საჯარო-კერძო პარტნიორობის ახალი მექანიზმების დანერგვასთან, სოციალური პასუხისმგებლობის ფონდის შექმნასთან, რათა ასეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორც ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა და ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ხელშეწყობაა თავის წვლილი (სურვილის შემთხვევაში) შეიტანონ მეწარმეებმაც;
- ოჯახის/ბავშვის ფინანსურიდახმარებისმიღებისუფლებასახელმწიფოპროგრამისბენეფიციარებისათვ

ისგავრცელდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, აღნიშნულ რეგიონში წინა მე-2 და მე-3 წლის განმავლობაში დაფიქსირდა თუ არა წლიური მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი.სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენი გამოთვლებით მთელი საქართველოს მასშტაბით აღნიშნული პროგრამის განხორციელება ყოველწლიურად მოითხოვს დაახლოებით 38 000 000 ლარს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ყოველ მე-3 და შემდგომ ბავშვზე დაწესდება ერთჯერადი ფინანსური დახმარება (მე-3 ბავშვი 800 ლარი, მე-4 ბავში 1000 ლარი, მე-5 და შემდეგი ბავშვი 1500 ლარი) აღნიშნულისათვის დამატებით საჭიროა დაახლოებით 10 000 000 ლარი. აღნიშნული გათვლები წარმოდგენილია პროგრამის ნებისმიერ მოქალაქეზე გავრცელების პირობებში. იმ შემთხვევაში თუ პროგრამა მოიცავს მხოლოდ **დაბალ და საშუალო შემოსავლიან ოჯახებს**, პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისად შემცირდება.

- ოჯახის/ბავშვისფინანსური დახმარების მიღების უფლება წარმოიშვას პირველი ბავშვის შეძენის მომენტიდანდა დახმარების ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნას დაბადებული ბავშვის რიგითობა, ისე რომ ყოველი მომდევნო ბავშვის გაჩენისას მეტი ფინანსური გარანტიები გაუჩნდეს ოჯახს. ამასთან ფინანსური დახმარების პერიოდი გაიზარდოს და მაქსიმალურად მიუახლოვდეს ბავშვის სრულწლოვანების ასაკს;
- სახელმწიფო პროგრამამ უზრუნველყოს განსაკუთრებული მზრუნველობის საჭიროების მქონე ბავშვისათვის ან ერთი მშობლის მიერ ბავშვის დამოუკიდებლად აღზრდის შემთხვევაში ფინანსური დახმარების დამატებითი გარანტიების შექმნა.

6) **ადგილობრივმა თვითმმართველობებმა საკუთარი ბიუჯეტიდან ოჯახის/ბავშვის მხარდაჭერის პოლიტიკა განახორციელონ დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამასთან კოორდინირებულად.** კერძოდ:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან განხორციელდეს დამატებით იმგვარი სახის დახმარება, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამით;
- ადგილობრივი თვითმმართველობებში ფინანსური სახსრების მობილიზება მოხდეს იმგვარად, რომ თითოეულ რეგიონში მსგავსი სოციალური ფენის ოჯახებისათვის არსებობდეს სახელმწიფო დახმარების ერთიანი სტანდარტი;
- ადგილობრივმა თვითმმართველობებმა საკუთარი ბიუჯეტით უზრუნველყონ მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური შეღავათების დაწესება კომუნალურ გადასახადებზე, სახელმწიფო ტრანსპორტით სარგებლობაზედა სხვა სახელმწიფო სერვისებზე, რომელიც დაკავშირებულია ბავშვის აღზრდასა და მზრუნველობასთან.

7) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოს შესაბამისი კანონპროექტის მომზადება, სადაც გათვალისწინებული იქნება მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება.

8) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის უკეთესი პირობების და ჯანმრთელობის დაზღვევის მეტი გარანტიების შექმნა.

9) საქართველოს შრომის კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომლის მიხედვითაც ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების პერიოდში გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრება დასაქმებულის შვებულებაში გასვლის წინა თვის ანაზღაურების ოდენობის 100%-ით და გაუქმდება შრომის კოდექსით დადგენილი ანაზღაურების ოდენობის ზედა ზღვარი (1000 ლარი).

მიუხედავად, იმისა, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება შესაძლებელია მძიმე ტვირთად დააწვეს სახელმწიფო ბიუჯეტს ეკონომიკური ზრდის სტაგნაციისა ფონზე, ჩვენ ვთვლით, რომ ხელისუფლებამ უკვე უნდა დაიწყოს მათი იმპლემენტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და ასახოს ისინი სტრატეგიულ დოკუმენტებში (მაგალითად ისეთში როგორიც არის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტრატეგია 2020). შესაძლებელია, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაციების დანერგვის რამდენიმეწლიანი გეგმის შედგენა, მათი ეტაპობრივი განხორციელების მიზნით, იმისთვის, რომ სტრატეგიულ დონეზე განისაზღვროს დღეს მიღწეული გაუმჯობესებული მაჩვენებლების შენარჩუნება და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესების მოსალოდნელი კრიზისული პერიოდის (2017 წლიდან) რისკების შემცირებას.

დანართი N1

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა ადგილობრივ თვითმმართველობებში

თბილისი

პროგრამით მოსარგებლე	დახმარება	ბენეფიციართა რაოდენობა 2015 წლის ივნისის თვის მდგომარეობით
სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულით 70001-მდე) 3 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ყოველთვიურად 18 წლამდე თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	3412 ოჯახი 11 837 ბავშვი

კახეთი

თვითმმართველი ერთეული	პროგრამით მოსარგებლე	დახმარება	გაწეული ხარჯი 2015 წლის აგვისტოს მდგომარეობით	ბენეფიციართა რაოდენობა
თელავი (ქალაქის და თემის გაერთიანებული მონაცემები)	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	**1)** ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 30 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება **2)** ელექტროენერგიის გადასახადის დაფინანსება 8 ლარის (4 ბავშვიანი ოჯახი) და 12 ლარის (4-ზე მეტ ბავშვიანი ოჯახი) ფარგლებში ყოველთვიურად.	39 996 ლარი	58 ოჯახი
გურჯაანი	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ყოველ მეოთხე და შემდეგ ბავშვზე ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	86 300 ლარი	92 ოჯახი
დედოფლისწყარო	4 და მეტი (ერთ-ერთი მაინც 18 წლამდე) შვილიანი ოჯახი	1) ყოველთვიურად ელექტროენერგიის გადასახადის დაფინანსება 8 ლარის (თუ ორი და მეტი შვილია 18 წლამდე 12 ლარის) ოდენობით. 2) ბუნებრივი აირის გადასახადის დაფინანსება 20 ლარის ოდენობით ზამთრის თვეებში 3) ზამთრის სეზონზე გათბობის უზრუნველსაყოფად ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით	36 400 ლარი	98 ოჯახი

ახმეტა	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	წლის განმავლობაში ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით	4300 ლარი	
ლაგოდეხი	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	1) წლის განმავლობაში ერთჯერადი ფინანსური დახმარება 250 ლარის ოდენობით 2) იმ მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ საშიშ და გაუსაძლის პირობებში წლის განმავლობაში ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით.	22 500 ლარი	
სიღნაღი	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	1) დედისდღესთანდაკავშირებითერთჯერადი ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით 2) უსახლკარო მრავალშვილიანებისათვის ბინის ქირის ხარჯების დაფარვა ყოველთვიურად 150 ლარის ფარგლებში.	-	49 ოჯახი
ყვარელი	გაჭირვებული 4 და მეტი შვილიანი ოჯახი (საიდანაც 3 არის 18 წლამდე)	1) შობის და აღდგომის დღესასწაულზე ფინანსური დახმარებები: 4 შვილზე 100 ლარი, 5 შვილზე - 150 ლარი, 6 და მეტ შვილზე - 200 ლარი 2) დედის დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიან დედებს ფულადი დახმარება 100 ლარი	20 700 ლარი	-
საგარეჯო	*როგორც განმარტეს, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე გადაწყვეტილებას იღებენ ინდივიდუალური განცხადების საფუძველზე, ბენეფიციარის სოციალურ -ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ინფორმაცია 2015 წელს აღნიშნულის თვალსაზრისით გაწეული დახმარებების შესახებ არ იქნა მოწოდებული.*			

შიდა ქართლი

თვითმმართველი ერთეული	**პროგრამით მოსარგებლე**	**დახმარება**	**გაწეული ხარჯი 2015 წლის აგვისტოს მდგომარეობით**	**ბენეფიციართა რაოდენობა**
ქალაქი გორი	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	წლის განმავლობაში თითოეულ ბავშვზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით.	29 000 ლარი	68 ოჯახი
თვითმმართველი თემი გორის მუნიციპალიტეტი	5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	წლის განმავლობაში თითოეულ ბავშვზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება 200 ლარის ოდენობით.		

კასპი	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	წლის განმავლობაში თითოეულ ბავშვზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით.	18400 ლარი	43 ოჯახი
ხაშური	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	დედის დღესთან დაკავშირებით – 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 100 ლარი.	80 100 ლარი	248 ოჯახი
ქარელი	მრავალშვილიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებულია, მხოლოდ ახალშობილისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება.			

იმერეთი

თვითმმართველი ერთეული	**პროგრამით მოსარგებლე**	**დახმარება**	**გაწეული ხარჯი 2015 წლის აგვისტოს მდგომარეობით**	**ბენეფიციართა რაოდენობა**
ქუთაისი	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	**359 150 ლარი**	400 ოჯახი
	6,7 და 8 შვილიანი ოჯახი	წლის განმავლობაში თითოეულ ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება 700 ლარის ოდენობით.		59 ოჯახი
	9 და მეტი შვილიანი ოჯახი	წლის განმავლობაში თითოეულ ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით.		8 ოჯახი
	7 და მეტი შვილიანი ოჯახი	დედის დღესთან დაკავშირებით ერთჯერადად ოჯახზე 300 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება		26 დედა
	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	საზაფხულო დასვენება-რეაბილიტაციის კურორტული მომსახურება		39 ოჯახი
	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	ახალი წლის და სააღდგომო დღესასწაულთან დაკავშირებით სასაჩუქრე ნობათი		-
ტყიბული	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	წლის განმავლობაში თითოეულ ბავშვზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება 60 ლარის ოდენობით.	**8040 ლარი**	31 ოჯახი
წყალტუბო	სოციალურად დაუცველი სარეიტინგო ქულით (0 დან 70 000-მდე) 3 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	წლის განმავლობაში ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით.	-	29 ოჯახი

ვანი	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	წლის განმავლობაში თითოეულ ბავშვზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით.	**17 300 ლარი**	42 ოჯახი
ზესტაფონი	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	36000ლარი	90 ოჯახი
სამტრედია	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 20 ლარის ოდენობით	**80 000 ლარი**	82 ოჯახი -353 ბავშვი
	5 და მეტი შვილიანი ოჯახი	ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თითოეულ ბავშვს გადაეცა 50 ლარის ღირებულების სურსათის ამანათი	**950 ლარი**	19 ბავშვი
საჩხერე	ოჯახი რომელსაც შეეძინება მე-6 და მეტი შვილი	18 წლამდე საბავშვო ანაბარზე ჩაერიცხება ყოველთვიურად 100 ლარი.	–	–
ხარაგაული	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	დედის დღესთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება 50 ლარის ოდენობით	**3850 ლარი**	77 ოჯახი
ხონი	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ერთჯერადი დახმარება თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით	-	-
ჭიათურა	ჭიათურის გამგეობის განმარტებით, ოჯახისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა გულისხმობს წლის განმავლობაში მრავალშვილიანი ოჯახების გარკვეულ ფინანსურ დახმარებას. დეტალები მათ მიერ არ იქნა მოწოდებული, ხოლო საკრებულოს მიერ idfi-ის განემარტა რომ 2003-2015 წლებში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური შეღავათების დაწესებაზე სამართლებრივი აქტები არ გამოცემულა.		69 150 ლარი	157 ოჯახი
თერჯოლა	მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური შეღავათები და დახმარებები გათვალისწინებული არ არის. 2014 წელს 4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახებისათვის, დედის დღესთან დაკავშირებით, გაიცა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 200 ლარის ოდენობით,			
ბაღდათი	მრავალშვილიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებულია, მხოლოდ ახალშობილისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება.			

გურია

თვითმმართველი ერთეული	**პროგრამით მოსარგებლე**	**დახმარება**	**გაწეული ხარჯი 2015 წლის აგვისტოს მდგომარეობით**	**ბენეფიციართა რაოდენობა**

ოზურგეთი (ქალაქის და თემის გაერთიანებული მონაცემები)	სოციალურად დაუცველი სარეიტინგო ქულით (57 001-დან 150 001-მდე) 4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით	88 150 ლარი	100 ოჯახი
	სოციალურად დაუცველი სარეიტინგო ქულით (0 დან 57 001-მდე) 4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	აპრილის, აგვისტოს და დეკემბრის თვეში ოჯახზე ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით		71 ოჯახი
ლანჩხუთი	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით	20 400 ლარი	28 ოჯახი
ჩოხატაური	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი, რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია 10 000-ზე ან 57 000 მეტია და არ აღემატება 120 000-ს.	ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით	17 400 ლარი	20 ოჯახი

სამეგრელო - ზემო სვანეთი

თვითმმართველი ერთეული	**პროგრამით მოსარგებლე**	**დახმარება**	**პროგრამის ბიუჯეტი 2015 წელს**	**ბენეფიციართა რაოდენობა**
ფოთი	3 და მეტი 16 წლამდე შვილიანი ოჯახი	ყოველთვიური დახმარება 3 შვილიან ოჯახს 50 ლარი, 4 შვილიანს - 100 ლარი, 5 შვილიანს - 190 ლარი, 6 შვილიანს - 220 ლარ, 7 შვილიანს- 300 ლარი, 8 და მეტ შვილიანს- 450 ლარი.	151 400 ლარი	305 ოჯახი
	5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ყოველწლიურად ერთჯერადი დახმარება 2000 ლარის ოდენობით	28 000 ლარი	14 ოჯახი
ზუგდიდი (ქალაქის და მუნიციპალიტეტის გაერთიანებული მონაცემები)	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ყოველწლიურად ერთჯერადი დახმარება 4 შვილიანი- 200 ლარი, 5 შვილიანი-300 ლარი, 6 შვილიანი - 400 ლარი და ა.შ.	29 500 ლარი	132 ოჯახი
აბაშა	3 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ერთჯერადად თითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	98 500 ლარი	985 ბავშვი
მარტვილი	5 და მეტი შვილიანი ოჯახი ერთ-ერთ მაინც 18 წლამდე	ერთჯერადად თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	13 200 ლარი	66 ოჯახი
მესტია	5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ერთჯერადად თითოეულ ოჯახზე 150 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	2100 ლარი	14 ოჯახი

სენაკი	5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	კვარტალში ერთხელ თითოეულ ბავშვზე 40 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	13 400 ლარი	21 ოჯახი
ჩხოროწყუ	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	48 000 ლარი	58 ოჯახი (240 ბავშვი)
წალენჯიხა	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ყოველთვიური ფინანსური დახმარება 50 ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ოჯახი იღებს სოციალურ შემწეობას ან დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის არსებული მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამიდან დახმარებას, მაშინ ყოველთვიური დახმარება შეადგენს თითოეულ ბავშვზე 30 ლარს.	137 380 ლარი	-
ხობი	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით	10 500 ლარი	70 ოჯახი

რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

თვითმმართველი ერთეული	**პროგრამით მოსარგებლე**	**დახმარება**	**პროგრამის ბიუჯეტი 2015 წელს**	**ბენეფიციართა რაოდენობა**
ამბროლაური	3 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება 3 შვილიანებისათვის 400 ლარის, ხოლო 4 და მეტ შვილიანისთვის 500 ლარის ოდენობით. სოციალურად დაუცველი ოჯახები ზემოთ აღნიშნულ დახმარებასთან ერთად ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 20 ლარი.		
ონი	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება 4 შვილიანებისთვის 150 ლარის, 5 შვილიანებისთვის - 200 ლარი, ხოლო 6 და მეტი შვილიანებისთვის 250 ლარის ოდენობით.	2350 ლარი	
ცაგერი	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება 4 შვილიან ოჯახებზე 500 ლარის ოდენობით, ყოველ მეტ შვილზე 100 ლარის ზრდით.	7 100 ლარი	13 ოჯახი

ლენტეხი	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	4 შვილი - ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით 5 და მეტი შვილი - ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 10 ლარის ოდენობით	21 200 ლარი	

მცხეთა მთიანეთი

თვითმმართველი ერთეული	**პროგრამით მოსარგებლე**	**დახმარება**	**პროგრამის ბიუჯეტი 2015 წელს**	**ბენეფიციართა რაოდენობა**
ყაზბეგი	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ერთჯერადად 100 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	10500 ლარი	37 ოჯახი
დუშეთი	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ერთჯერადად თითოეულ ოჯახზე 300 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	2 700 ლარი	9 ოჯახი (ირიცხება სულ 77 ოჯახი)
თიანეთი	2015 წელს მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური შეღავათები პროგრამა არ მოქმედებს. მათზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა შესული განცხადებების მიხედვით. 2015 წელს სულ გაიცა 4 200 ლარი.			
მცხეთა	2015 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტში, არ არის განსაზღვრული რაიმე სახის სოციალური შეღავათების გაწევა და საჭიროების შემთხვევაში სხვა მოქალაქეების მსგავსად ხდება მათთვის დახმარების გაწევა. 2014 წელს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ თითოეულ მრავალშვილიან ოჯახზე გაიცა 100 ლარის ოდენობის ერთჯერადი დახმარება, ხოლო ქალაქ მცხეთის მერიამ საახალწლოდ მრავალშვილიან ოჯახებს დაეხმარა თბილი ტანსაცმელით, სასკოლო ნივთებით, სასურსათო პაკეტით და ერთჯერადი ფინანსური დახმარებით. რა თანხა იქნა დახარჯული აღნიშნულ ღონისძიებაზე მცხეთის მერიის მიერ არ იქნა მოწოდებული			

სამცხე- ჯავახეთი

თვითმმართველი ერთეული	**პროგრამით მოსარგებლე**	**დახმარება**	**პროგრამის ბიუჯეტი 2015 წელს**	**ბენეფიციართა რაოდენობა**
ქ. ახალციხე	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში მოსწავლეთა სწავლის დაფინანსება 100%-ით	15 454 (2014-2015 წლები ერთად)	64 მოსწავლე
		სათნოების სახლში უფასო კვებით სარგებლობა	-	3 ოჯახი
		ყოველ მე-4 და შემდეგ ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება 200 ლარით	0	0 (არავის მიუმართავს)
ახალციხის თემი	4 და მეტი შვილიანი	ააიპ - სამუსიკო, სამხატვრო და სასპორტო სკოლებში მოსწავლეთა სწავლის	5345	52 მოსწავლე

	ოჯახი	დაფინანსება 100%-ით.		
		ერთჯერადი სოციალური დახმარება სამშენებლო მასალებით	0	0 (არავის მიუმართავს)
		ყოველ მე-4 და შემდეგ ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება 200 ლარით	750	3
ადიგენი	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	ერთჯერადად თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	11600	58
ასპინძა	ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით 2015 წელს მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ დახმარებაზე გათვალისწინებულია 17 000 ლარი. თუმცა რამდენ ბენეფიციარზე და როგორ ნაწილდება აღნიშნული თანხა არ არის მითითებული.			
ახალქალაქი	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	ერთჯერადად თითოეულ ოჯახზე 100 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	2900	29
ბორჯომი	ბორჯომის გამგეობის განმარტებით, მრავალშვილიანი ოჯახები სარგებლობენ ყოველთვიური მატერიალური დახმარებით, კომუნალური შეღავათით და სხვა, რისთვისაც 2015 წელს გათვალისწინებული 135 000 ლარი 69 ბენეფიციარზე. თუმცა დეტალურად როგორ ნაწილდება აღნიშნული დახმარება არ იქნა მოწოდებული.			
ნინოწმინდა	ნინოწმინდის გამგეობის მიერ ინსტიტუტს მხოლოდ ეცნობა, რომ 2015 წელს 21 მრავალშვილიანი ოჯახის სოციალურმა დახმარებამ შეადგინა 4400 ლარი.			

ქვემო ქართლი

თვითმმართველი ერთეული	**პროგრამით მოსარგებლე**	**დახმარება**	**პროგრამის ბიუჯეტი 2015 წელს**	**ბენეფიციართა რაოდენობა**
ქ. რუსთავი	სოციალურად დაუცველი სარეიტინგო ქულით 150 000-მდე 4 და მეტი შვილიანი ოჯახი	ყოველარასრულწლოვანშვილზე ყოველთვიურად 25 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	123 375	4 935 ბავშვი
ბოლნისი	სოციალურად დაუცველი სარეიტინგო ქულით 57 000-მდე 3 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ერთჯერადი დახმარების მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრულია 1000 ლარამდე		
გარდაბანი	მრავალშვილიან ოჯახებზე რაიმე სახის სოციალური შეღავათები დაწესებული არ არის, მომართვის საფუძველზე ხდება ერთჯერადად დახმარების გაწევა.			
დმანისი	მრავალშვილიან ოჯახების სოციალურ დახმარებაზე ხარჯები არ გაწეულა.			
თეთრიწყარო	5 და მეტი შვილიანი ოჯახი	ყოველარასრულწლოვანშვილზე ყოველთვიურად 20ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	34 420 ლარი	248 ბავშვი

მარნეული	4 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	თითოეულ ოჯახზე ერთჯერადად 200 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	6 200 ლარი	31 ოჯახი
წალკა	4 და მეტი შვილიანი ოჯახი	თითოეულ ოჯახზე ერთჯერადად 100 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	3 300 ლარი	33 ოჯახი
აჭარა				
თვითმმართველი ერთეული	**პროგრამით მოსარგებლე**	**დახმარება**	**პროგრამის ბიუჯეტი 2015 წელს**	**ბენეფიციართა რაოდენობა**
ბათუმი	5 და მეტი შვილიანი ოჯახი	1.წელიწადში ორჯერ 1000 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	108 000	108
		2. სხვადასხვა კომუნალური შეღავათები და სპორტულ და სახელოვნებო დაწესებულებებში სწავლების საფასურის გადახდა		
	სოციალურად დაუცველი სარეიტინგო ქულით 70 000-მდე 3 და 4 შვილიანი ოჯახი	1. წელიწადში ორჯერ 3 შვილიანებისათვის 400 ლარის და 4 შვილიანებისათვის 500 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება	62 400	146
		2. სხვადასხვა კომუნალური შეღავათები და სპორტულ და სახელოვნებო დაწესებულებებში სწავლების საფასურის გადახდა		
ქედა	5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით		
ქობულეთი	5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით	39 000 ლარი	39 ოჯახი
ხელვაჩაური	5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით	11 000 ლარი	11 ოჯახი
შუახევი	5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით	-	-
ხულო	5 და მეტი 18 წლამდე შვილიანი ოჯახი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით	49 000 ლარი	49 ოჯახი